განკარგულება:**g-49. 49243349**
თარიღი:**29/11/2024**

160 (ასსამოცი) ერთეული პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის, რიცხული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე, რომელთა ღირებულება შეადგენს 86880 (ოთხმოცდა ექვსი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ - სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 5 ნოემბრის 48-482431055 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას 160 (ასსამოცი) ერთეული პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის, რიცხული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე, რომელთა ღირებულება შეადგენს 86880 (ოთხმოცდა ექვსი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ -სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს 160 (ასსამოცი) ერთეული პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის, რიცხული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე, რომელთა ღირებულება შეადგენს 86880 (ოთხმოცდა ექვსი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ -სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი